



საჯარო სამართლის იურიდიული პირი წიაღის ეროვნული სააგენტო



KA020127822250219

თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ფაქსი: +995 32 243 95 02

ბრძანება № 197/ს

15 / თებერვალი / 2019 წ.

**შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო
წიაღისეულის მოპოვების N1001149 ლიცენზიის გაუქმების თაობაზე**

2018 წლის 15 ნოემბერს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოში, N1667/ს ბრძანების საფუძველზე დაწყებულ იქნა ადმინისტრაციული წარმოება შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001149) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე. ადმინისტრაციული წარმოების დაწყებას საფუძველად დაედო სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფროსის 2018 წლის 8 ნოემბრის N2093 მოხსენებითი ბარათი, რომლითაც წარმოდგენილ იქნა ინფორმაცია შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ის მიერ ჩადენილ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა თაობაზე და დაყენებულ იქნა ლიცენზიის გაუქმების შუამდგომლობა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სააგენტოს მხრიდან გადადგმულ იქნა ყველა ქმედითი ნაბიჯი ადმინისტრაციული წარმოების პროცესში დაინტერესებული მხარის, შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ის მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ ბრძანება გაგზავნილ იქნა მხარესთან 2018 წლის 20 ნოემბრის N22/8941 კორესპოდენციით, თუმცა მისი ჩაბარება მხარისთვის ვერ მოხდა. კომპანიის იურიდიულ მისამართს წარმოადგენს ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. N21. ბ.17 და აღნიშნული მისამართი იქნა მითითებული ზემოხსენებულ კორესპოდენციაშიც. კორესპოდენციის დაბრუნების მიზეზად მითითებულ იქნა, რომ ადრესატი არ იმყოფება მისამართზე. ამის შემდგომ, 2018 წლის 29 ნოემბერს კვლავ გაიგზავნა სააგენტოდან მხარის მიმართ N22/9375 კორესპოდენცია, რომლითაც მისთვის უნდა მომხდარიყო ზეპირი მოსმენის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება. ისევე როგორც ზემოაღნიშნული კორესპოდენცია, ორი მცდელობის მიუხედავად, ეს უკანასკნელიც მხარეს არ ჩაბარდა.

ადმინისტრაციული წარმოების მაქსიმალური გამჭვირვალობის მიზნით, სააგენტოს მხრიდან, 2019 წლის 10 იანვარს, სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე გამოქვეყნებულ იქნა შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001149) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ'' სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 15 ნოემბრის N1667/ს ბრძანება.

სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას ალტერნატიული მისამართის თაობაზე, შესაბამისად, ერთსა და იმავე მისამართზე კორესპოდენციების არაერთხელ გაგზავნა იძლევა ვარაუდის შესაძლებლობას, რომ კომპანიის წარმომადგენლები არ იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე. თუმცა, ინფორმაციის სრულყოფილად მოძიების მიზნით, 2018 წლის 10 იანვრის N22/45 კორესპოდენციით სააგენტომ მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას - საქართველოს სასაზღვრო პოლიციას და მოითხოვა ინფორმაცია, ბოლოს როდის იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე შპს "Rodinauli Mining Co.Ltd"-ს დირექტორი ჟოუ იი და ასევე მოთხოვნილ იქნა ინფორმაციის მოწოდება, 2011 წლიდან მის მიერ საზღვრის გადაკვეთის შესახებ, თუმცა, მოცემულ შემთხვევაში ლიცენზიის გაუქმებასთან დაკავშირებით სააგენტოს მიერ შესაბამისი უფლებამოსილების განხორციელება არ იქნა მიხნეული პირის პერსონალური მონაცემების სააგენტოსათვის გადმოცემის კანონიერ საფუძველად (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2019 წლის 7 თებერვლის N810 წერილი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, სააგენტოს მიერ აღნიშნული მიმოწერის პარალელურად, შპს „Rodinauli Mining Co.Ltd“-ზე (ს/კ 404959489) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების (N1001149) ლიცენზიის გაუქმების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ” სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 15 ნოემბრის N1667/ს ბრძანება განთავსებულ იქნა საკუთარ ვებგვერდზე. აღნიშნულის მიუხედავად, კომპანიის წარმომადგენლის მხრიდან არ მომხდარა არანაირი რეაგირება, ამ დრომდე სააგენტოში არ ფიქსირდება კომპანიის მხრიდან განხორციელებული არც ერთი მომართვა.

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, იურიდიული სამსახურის მიერ გამოკვლეულ იქნა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე ყველა ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც შემდგომ მიეცა სამართლებრივი შეფასება:

- შპს „Rodinauli Mining Co., LTD“-ზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების ლიცენზია გაცემულ იქნა 2013 წლის 2 მაისს. ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 2 მაისის N13/465 ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულ იქნა სალიცენზიო პირობები, რომელთა დაცვის ვალდებულებაც გააჩნია ლიცენზიის მფლობელს. მნიშვნელოვანია, რომ ძირითად ვალდებულებათა შესრულების ვადა დაკავშირებული იყო კომპანიის მიერ შესწავლის პროცესის დასრულებასთან, აღნიშნული ვადა კი დადგა 2018 წლის 2 მაისს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, კომპანიის შემოწმების მიზნით ქმედებები განხორციელებულ იქნა ამ ვადის გასვლის შემდგომ;
- სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის მიერ მასალების კამერალურად დამუშავების შედეგად გამოვლინდა შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“-ის მიერ, რომელიც ფლობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების #1001149 ლიცენზიას, ზესტაფონის, ბაღდათის და თერჯოლის მუნიციპალიტეტებში, სოფელ როდინაულისა და ბარდუბანის მიმდებარე ტერიტორიაზე „ყვირილის დეპრესიის“ მანგანუმის შესწავლა-მოპოვების მიზნით, ლიცენზიით განსაზღვრული პირობების დარღვევები. კერძოდ, შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“ ვალდებული იყო ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში (2018 წლის 02 მაისამდე) საბადოს შესწავლილობის გათვალისწინებით ჩატარებინა წინასწარი ან/და დეტალური საძიებო სამუშაოები და სამუშაოების შედეგებზე დაყრდნობით შესაბამის ორგანოში მარაგების დამტკიცების მიზნით, წარმოედგინა:
 - სასარგებლო წიაღისეულის მარაგების ანგარიში და დასაბრუნებელი ტერიტორიების X და Y კოორდინატები;
 - მომავალი წლის სამუშაო გეგმა და ბიუჯეტი არაუგვიანეს 2017 წლის 01 დეკემბრისა;
 - წინა წლის შესრულებული სამუშაოებისა და ბიუჯეტის ანგარიში არაუგვიანეს 2018 წლის 01 აპრილისა;
 - წერილობითი ანგარიშგება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ 2018 წლის 01 აპრილიდან 01 მაისამდე;
 - ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში (2018 წლის 02 მაისამდე), შესწავლის სამუშაოებისათვის განხორციელებინა 3 000 000 ლარის ინვესტიცია და ამავე ვადაში ლიცენზიის გამცემ ორგანოში წარმოედგინა ინვესტიციის ხარჯვის ანგარიშის შესაბამისი აუდიტორული კომპანიის დასკვნა.
- გამომდინარე იქიდან, რომ კომპანიის მხრიდან არ იქნა შესრულებული არც ერთი ზემოხსენებული ვალდებულება, შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“-ის მიერ, სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ 2018 წლის 21 მაისს შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ #044657 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 57³ მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, რაც ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღის სარგებლობის ლიცენზიის მფლობელის მიერ სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმის დადგენილ ვადაში წარუდგენლობის ან სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშის კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ ვადაში წარუდგენლობის გამო ჯარიმას 500 ლარის ოდენობით და 57³ მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რას ითვალისწინებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ან წიაღით სარგებლობის ლიცენზიის პირობების დარღვევის გამო ჯარიმას 2000 ლარის ოდენობით. 2018 წლის 29 მაისის #22/3528 წერილით #044657 ოქმი გაიგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ 2018 წლის 13 ივლისის #4/495 დადგენილებით შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“ ცნო სამართალდამრღვევად ზემოაღნიშნული ხუთივე სამართალდარღვევისათვის და სახდელის სახით დააკისრა ჯარიმა 2 000 ლარის ოდენობით.
- 2018 წლის 10 ოქტომბრის წერილით ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ წიაღის ეროვნულ სააგენტოს აცნობა, რომ 2018 წლის 13 ივლისის დადგენილება არ გასაჩივრებულა მხარის მიერ და ჯარიმის გადახდის ქვითარი არ არის წარმოდგენილი სასამართლოში.

- მიუხედავად არაერთი მცდელობისა, სალიცენზიო პირობების კონტროლის სამსახურის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ ოქმის შედგენისას შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“-ის წარმომადგენლებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული პირი არ გამოცხადდა არც სასამართლო სხდომაზე, მიუხედავად კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაფრთხილებისა და სასამართლომ სამართალდარღვევის მასალები განიხილა მის დაუსწრებლად.

შპს „Rodinauli Mining Co., Ltd“-ზე სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ სსიპ ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 02 მაისის #13/465 ბრძანების 1 მუხლის 1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ლიცენზიის გაცემიდან 5 წლის განმავლობაში მარაგების ანგარიშის წარმოუდგენლობა და ამავე ვადაში 3 000 000 ლარის ინვესტიციის განუხორციელებლობა შესწავლის სამუშაოებისათვის შესაძლებელია განხილულ იქნეს როგორც წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველი. ლიცენზიის გაცემის შესახებ ბრძანება იმპერატიულად განსაზღვრავს წიაღით სარგებლობის უფლების შეწყვეტის საფუძველად იმ ვალდებულებების შეუსრულებლობას, რომელთა შეუსრულებლობის გამოც იქნა შედგენილი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და სასამართლოს მიერ კომპანია ცნობილი იქნა სამართალდამრღვევად.

ის გარემოებები, რომ ლიცენზიის მფლობელი არ ახორციელებს სამუშაოებს სასარგებლო წიაღისეულის შესასწავლად, დარღვეული აქვს ყველა სალიცენზიო პირობა, რომლის შესრულების ვადაც ამ ეტაპისთვის არის დამდგარი, კომპანიის წარმომადგენლების მოძიება ვერ მოხერხდა როგორც წიაღის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირების მიერ, ასევე სასამართლოს მიერ, კომპანიის წარმომადგენლის სასამართლო პროცესზე გამოუცხადებლობა, ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის სასამართლოში წარმოუდგენლობა ცალსახად მიუთითებდა ვალდებულების შესრულებისათვის გონივრული ვადის დადგენის უშედეგობაზე, შესაბამისად სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მხრიდან აღნიშნული მექანიზმი გამოყენებული არ ყოფილა.

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტის შესაბამისად, „თუ ამკარაა, რომ სარგებლობის ლიცენზიის პირობების ან/და კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობის გამო ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებას შედეგი არ მოჰყვება, ლიცენზიის გამცემი უფლებამოსილია მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით გააუქმოს ლიცენზია.“ ამასთან, ამავე მუხლის მე-11 პუნქტის თანახმად, პასუხისმგებლობა, ლიცენზიის გაუქმების სახით, გამოიყენება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმება ვერ უზრუნველყოფს სალიცენზიო პირობების შესრულებას და ლიცენზიის გამცემი დაასაბუთებს, რომ ლიცენზიის გაუქმება არ გამოიწვევს უფრო მეტ ზიანს, ვიდრე ლიცენზიის მოქმედება.

ცალსახად დადასტურებულია ფაქტობრივი გარემოება, რომ კომპანიას არ უწარმოებია ლიცენზიით განსაზღვრული, სასარგებლო წიაღისეულის შესწავლითი სამუშაოები, რასაც ადასტურებს კომპანიის მხრიდან აღნიშნული ეტაპის გავლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების, როგორც ლიცენზიით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა. სახელმწიფოს შეუძლია განსახილველი ლიცენზიის სალიცენზიო ფართობზე სხვა სუბიექტის მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების შედეგად მიიღოს გაცილებით დიდი შემოსავალი, ვიდრე ამას იღებს ამ ლიცენზიის არსებობის პირობებში, ვინაიდან დადასტურებულია კომპანიის უმოქმედობა ლიცენზიით მინიჭებული უფლების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ცალსახაა, რომ ლიცენზიის გაუქმების შემდგომ, ამ ფართობზე არსებული პერსპექტივა შესაძლოა გაცილებით მომგებიანი იყოს სახელმწიფოსთვის ფინანსური თვალსაზრისით, ვიდრე აღნიშნული ლიცენზიის არსებობა.


ამასთან, აღნიშნულ შემთხვევაში, ცალსახაა, რომ ლიცენზიის მფლობელის დაჯარიმებით ვერ იქნა უზრუნველყოფილი შედეგი, მისი მხრიდან არც ერთ დარღვევაზე რეაგირება არ მომხდარა. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა დაკისრებულ იქნა ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ, ამის მიუხედავად, ლიცენზიის მფლობელის მხრიდან სალიცენზიო პირობები კვლავ არ სრულდება, შესაბამისად სახეზეა „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹ პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევა და არსებობს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაუქმების საფუძველი.

ზემოხსენებული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის პირველი ნაწილის, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-4¹, მე-11 პუნქტებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2018 წლის 04 იანვრის №1-1/2 ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - წიაღის ეროვნული სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის "ვ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს Rodinauli Mining Co. LTD“-ზე (ს/კ 404959489) სასარგებლო წიაღისეულის შესწავლა-მოპოვების მიზნით სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ბუნებრივი რესურსების სააგენტოს უფროსის 2013 წლის 2 მაისის N13/465 ბრძანება;
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს (გაუქმდეს) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების N1001149 ლიცენზია;
3. დაევალოს სააგენტოს ლიცენზირების დეპარტამენტს ლიცენზიის გაუქმების შესახებ მონაცემების დადგენილი წესით შეტანა უწყებრივ სალიცენზიო რეესტრში;
4. დაევალოს სააგენტოს ადმინისტრაციულ სამსახურს დაინტერესებული მხარისთვის ამ ბრძანების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში (ქ.თბილისი, სანაპიროს ქ. N2), მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსი

ხელმოწერილია/
შტამგადასმულია
ელექტრონულად 

მაია ბავრაშვილი